I სტუდენტური კონფერენცია

თემაზე
„კიბერუსაფრთხოების გენდერული განზომილებები“

კონცეფცია

თარიღი: 18 ივნისი (სამშაბათი), 2024წ.

ორგანიზატორი: გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან თანამშრომლობით.

მიზანი: **„კიბერუსაფრთხოების გენდერული განზომილებების“** შესახებ მულტიდისციპლინური კონფერენციის მიზანია აკადემიური კვლევის ხელშეწყობა და მონაწილეებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება კიბერუსაფრთხოების გენდერული ასპექტების თაობაზე. სტუდენტებისა და მკვლევრებისთვის კონფერენცია წარმოადგენს შესაძლებლობას სამეცნიერო და კვლევითი ნაშრომების წარდგენისა და ასევე, დარგის ექსპერტებთან დისკუსიისთვის კიბერუსაფრთხოების გენდერულ ასპექტებზე. კონფერენციის მიზანია, თავი მოვუყაროს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის აკადემიური წრეების, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რათა გაძლიერდეს თანამშრომლობა მათ შორის, გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის კუთხით, კონკრეტულად კი უფრო ინკლუზიური და უსაფრთხო კიბერუსაფრთხოების ინფრასტრუქტურისა და გარემოს განვითარების სფეროში. ამასთან, კონფერენცია ხელს შეუწყობს დიალოგს ალტერნატიული და ინოვაციური მიდგომების შესახებ, ამ სფეროში არსებული გამოწვევების დაძლევის მიზნით. დაბოლოს, კონფერენციის მიზანია კიბერუსაფრთხოების სფეროში გენდერული თანასწორობისა და ინკლუზიურობის საკითხების მეტად წარმოჩენა საქართველოში.

თემები და საკითხები:

თემები და საკითხები კიბერუსაფრთხოების გენდერულ ასპექტებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი, მათ შორის:

1. გენდერული უთანასწორობა კიბერუსაფრთხოებაში: კიბერუსაფრთხოების სფეროში დასაქმებულ პირებს შორის ქალთა დაბალი წარმომადგენლობა, გენდერული უთანასწორობა დასაქმების შესაძლებლობების, კარიერული წინსვლისა და ხელმძღვანელ თანამდებობებზე წარმომადგენლობის კუთხით.
2. კიბერსაფრთხეები და შევიწროება გენდერული ნიშნით: კიბერსაფრთხეების და ინტერნეტ სივრცეში შევიწროების კონკრეტული გამოვილებები, მათ შორის კიბერბულინგი, შანტაჟი, ადევნება და კიბერდანაშაულის სხვა ფორმები. აქცენტი ასევე გაკეთდება საქართველოში ამჟამად არსებულ ვითარებაზე მსგავს საფრთხეებთან დაკავშირებით.

3. ინტერსექციურობა და კიბერუსაფრთხოება: როგორ იკვეთება სქესი სხვა სოციალურ იდენტობებთან, როგორიცაა რასა, ეთნიკური კუთვნილება, ეროვნება, რელიგიური იდენტობა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი და ა.შ. და ინტერსექციურობის კავშირის გაანალიზება კიბერუსაფრთხოების რისკებთან და მათზე რეაგირებასთან.
4. გენდერულად მგრძნობიარე და პასუხისმგებლიანი კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა და პრაქტიკა: გენდერული მგრძნობელობის ხელშეწყობის სტრატეგიების განსაზღვრა კიბერუსაფრთხოების პოლიტიკაში, პრაქტიკასა და ორგანიზაციულ კულტურაში, ინკლუზიური და მხარდამჭერი გარემოს შესაქმნელად.
5. ინფორმაციასა და ციფრულ რესურსებზე წვდომის გენდერული ასპექტები: ინფორმაციისა და ციფრული რესურსების წვდომის კუთხით გენდერული ნიშნით არსებული ბარიერების კვლევა, მათ შორის ინტერნეტთან წვდომის ციფრული წიგნიერება და ტექნოლოგიების დანერგვის სფეროებში არსებული უთანასწორობა.
6. კიბერდანაშაულისა და კიბერუსაფრთხოების ინციდენტების გენდერული ზემოქმედება: რა სახის ზეგავლენას ახდენს კიბერდანაშაული და კიბერუსაფრთხოება ადამიანებზე, მათი სქესიდან გამომდინარე, ფსიქოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების კუთხით.

ზოგადი ინფორმაცია:

ქალთა ჩართულობა კიბერუსაფრთხოებაში სულ უფრო და უფრო მეტად არის აღიარებული, როგორც „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების“ (WPS) დღის წესრიგის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომელიც მიზნად ისახავს ქალებსა და გოგოებზე კიბერსაფრთხეების არაპროპორციული ზემოქმედების პრევენციას და აღმოფხვრას. ქალები კაცებზე მეტად განიცდიან ინტერნეტ სივრცეში ძალადობას, მათ შორის, ონლაინ შევიწროებას, ადევნებას და ექსპლუატაციას. „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების“ დღის წესრიგში კიბერუსაფრთხოების ინტეგრირება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ უფრო კომპლექსური მიდგომით მოხდეს გენდერული ძალადობის აღმოფხვრა, როგორც რეალურ, ასევე ინტერნეტ სივრცეში. ქალებზე მიმართული კიბერსაფრთხეების პრევენციისა და მათზე რეაგირების ზომების განხორციელებით, „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების“ დღის წესრიგი ხელს უწყობს უსაფრთხო ციფრული სივრცის შექმნას და ამ სფეროში ქალთა უფლებების დაცვას. ამასთან, ქალთა საჭიროებებისა და პრიორიტეტების ინტეგრირება კიბერუსაფრთხოების ინიციატივებში ხელს უწყობს მშვიდობისა და უსაფრთხოების ძალისხმევათა მდგრადობას. კონფლიქტის ძირეული მიზეზების, მათ შორის უთანასწორობისა და მარგინალიზაციის დაძლევით, „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების“ დღის წესრიგი მოიაზრებს ჰოლისტურ მიდგომებს მშვიდობის დამკვიდრების საქმეში. ქალთა მონაწილეობა კიბერუსაფრთხოებაში არა მხოლოდ უზრუნველყოფს მედეგობას კიბერსაფრთხეების მიმართ, არამედ ასევე ხელს უწყობს სოციალურ ერთიანობას, ნდობასა და თანამშრომლობას, რაც მდგრადი მშვიდობის აუცილებელ ელემენტებს წარმოადგენს.

გარდა ამისა, ქალების ჩართვა კიბერუსაფრთხოების ინიციატივებში ხელს უწყობს მათ აქტიურ მონაწილეობას ისეთ სფეროებში, რომლებშიც ტრადიციულად კაცები დომინირებენ. გენდერული სტერეოტიპების და ბარიერების დაძლევით, ქალებს შეუძლიათ, რომ კიბერუსაფრთხოების სტრატეგიები განსხვავებული პერსპექტივებით, უნარებით და გამოცდილებით გაამდიდრონ და წვლილი შეიტანონ ამ სფეროს განვითარებაში.

2023 წელს „ქალი მშვიდობის მშენებელების გლობალური ქსელის“ (GNWP) კველვა „კიბერუსაფრთხოების ეროვნულ მიდგომებში გენდერის და ადამიანის უფლებების ინტეგრირების“[1] შესახებ ხაზს უსვამს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გენდერული პერსპექტივის ჩართვა კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებაში, რადგან ქალები და მათი უფლებების დამცველი ორგანიზაციები შეიძლება განსხვავებული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ, რაც უშუალოდ მათზე მორგებულ ანალიზს და რეკომენდაციებს საჭიროებს.

კიბერუსაფრთხოების საკითხების გენდერულ ჭრილში განხილვით უფრო მეტად არის შესაძლებელი დიფერენციალური ზეგავლენის აღიარება: **ქალები და მარგინალიზებული ჯგუფები განსხვავებულად იყენებენ ინტერნეტს და არაპროპორციულად განიცდიან ზიანს კიბერშეტევების შედეგად.** თუმცა, მათი სპეციფიკური საჭიროებები და წარმომადგენლობა კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებასა და ტექნოლოგიების განვითარებაში ხშირად არასათანადოა. გენდერული პერსპექტივის გათვალისწინება გაზრდის კიბერუსაფრთხოების დონეს ქალებისა და სხვა მარგინალიზებული ჯგუფებისთვის და გაუმჯობესდება რა რეაგირებისა და სამართლებრივი დაცვის მექანიზმები.

ცხადია, კიბერშეტევები უარყოფით ზეგავლენას ახდენს ქალებზე საქართველოშიც, რაც ისეთი ფორმებით გამოიხატება, როგორიცაა კიბერბულინგი, კიბერადევნება და სხვა. აღნიშნული ქმედებები ქალებს გამოხატვის თავისუფლებას უზღუდავს, მათ თვითრწმენასა და თვითშეფასებას აქვეითებს. 2022 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან (საქსტატი) თანამშრომლობით, განახორციელა კვლევა[2] ქვეყნის მასშტაბით , რომელიც ეხებოდა ქალთა მიმართ ძალადობას შესახებ საქართველოში. აღნიშნულმა კვლევამ საგანგაშო მონაცემები გამოავლინა ქალების და გოგონების მიმართ ძალადობის გავრცელების მასშტაბის შესახებ; გენდერული ძალადობის ფორმებს შორის იყო კიბერშევიწროება და კიბერადევნება.

ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების საკანონმდებლო ცვლილებების განახორციელა. 2019 წლის მაისში ამოქმედდა ყოვლისმომცველი კანონი ამოქმედდა „სექსუალური შევიწროების შესახებ“[3], რომელიც არეგულირებს შევიწროების საკითხებს, როგორც საჯარო სივრცეში, ასევე სამუშაო ადგილებზე და ადგენს ჯარიმებს იმ პირებისთვის, ვინც დამნაშავედ იქნა ცნობილი არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევაში. აღნიშნულს მოჰყვა „საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმა“[4]. კიბერუსაფრთხოებისა და გენდერული უფლებების ურთიერთკვეთა მუდმივ ყურადღებას და მოქმედებას მოითხოვს ქალებისთვის უსაფრთხო ციფრული სივრცის შესაქმნელად, როგორც ეროვნული, ისე გლობალურ დონეებზე. აუცილებელია გენდერზე ორიენტირებული უწყვეტი კვლევისა და კიბერუსაფრთხოების

[1] „ქალი მშვიდობის მშენებელების გლობალური ქსელის“ (GNWP) კველვა „კიბერუსაფრთხოების ეროვნულ მიდგომებში გენდერის და ადამიანის უფლებების ინტეგრირების“, GNWP, 2023, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: Microsoft Word - DIL WPS and Cybersecurity Report (Updated March 2023).docx (ict4peace.org)

[2] ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2022; შემაჯამებელი ანგარიში, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: updated_vaw_eng_web4-2.pdf (unwomen.org)

[3] საქართველოს ორგანული კანონი - საქართველოს შრომის კოდექსი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: ORGANIC LAW OF GEORGIA – LABOUR CODE OF GEORGIA | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

[4] „საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

ინიციატივების განხორციელება ქალებზე ზეგავლენის გასაანალიზებლად, საქართველოს კონტექსტში.

სტუდენტური კონფერენცია და დისკუსია ექსპერტებთან ხელს შეუწყობს მულტიდისციპლინურ აკადემიურ კვლევას, რაც ხელს შეუწყობს გენდერულ თანასწორობას და სამართლიანობას, ასევე ქალთა უფლებების რეალიზებას საქართველოს კიბერუსაფრთხოების ინფრასტრუქტურაში. ამ საკითხის განხილვა სხვადასხვა დისციპლინის ჭრილში, როგორიცაა სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები, სამართალი, ტექნოლოგია და ა.შ., ასევე ექსპერტების და სტუდენტების დისკუსია აღნიშნულ თემებზე, ხელს შეუწობს იმ მრავალმხრივი გამოწვევების გაანალიზებას, რასაც ქალები კიბერუსაფრთხოების სფეროში აწყდებიან ქვეყნის მასშტაბით. შესაბამისად, კონფერენციაზე სიღრმისეულად იქნება გაგებული ის საზოგადოებრივი, კულტურული და ინსტიტუციური ფაქტორები, რომლებიც გენდერულ უთანასწორობას განაპირობებენ კიბერუსაფრთხოების სფეროში, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს უფრო ეფექტური და ინოვაციური სტრატეგიების და ინტერვენციების შემუშავებას.

დღის წესრიგი

გახსნითი პანელი
- **პროფ. მანანა ხაჩიძე,** ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის ხელმძღვანელი - **ქ-ნი თამარ ლობჯანიძე**, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების პროგრამის ანალიტიკოსი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია - **ბ-ნი ქრის რეილი,** საქართველოს პროგრამების ხელმძღვანელი, დიდი ბრიტანეთის საელჩო თბილისში
პანელი I – ქალები, მშვიდობა და კიბერუსაფრთხოება
მოდერატორი: მედეა გუგეშაშვილი, ქალების მშვიდობისა და უსაფრთხოების პროექტის ანალიტიკოსი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია - **ქ-ნი ნინო ვადაქარია,** კიბერუსაფრთხოების პროგრამის მენეჯერი, დიდი ბრიტანეთის საელჩო თბილისში *კვლევის პრეზენტაცია: „კიბერდანაშაულის გამოცდილება საქართველოში, ინფორმირებულობა, ვიქრიმიზაცია და მიმართვიანობა“* - **ქ-ნი ნათია სესკურია,** საფრთხოების კვლევების რეგიონული ინსტიტუტის (RISS) აღმასრულებელი დირექტორი - **ბ-ნი ჯოსეფ იარნეცკი**, დიდი ბრიტანეთის **უსაფრთხოების** კვლევების სამეფო ინსტიტუტის (RUSI) მკვლევარი *სახელმძღვანელოს მიმოხილვა „კიბერმედეგობა ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციებისთვის“* - **ქ-ნი ნინო ფაჩუაშვილი,** ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი (IWPR)
პანელი II – კიბერუსაფრთხოების საფრთხეების გენდერული ასპექტები, ქალი უფლებადამცველებისა და სამოქალაქო საზოგადოების მოწყვლადობა და მედეგობა საქართველოში

მოდერატორი: მედეა გუგეშაშვილი, ქალების მშვიდობისა და უსაფრთხოების პროექტის ანალიტიკოსი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია

კვლევების პრეზენტაცია:
„ქალები საქართველოს კიბერ სამუშაო ძალაში“
„კიბერუსაფრთხოება როგორც მზარდი კარიერული და საგანმანათლებლო შესაძლებლობა საქართველოსა და მსოფლიოში“

- **ქ-ნი თათია ჩიხლაძე (PhD),** RISS-ის უფროსი მკვლევარი, ბრიტანული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, WIC-ის გუნდის წევრი

კვლევის პრეზენტაცია თემაზე: „კიბერუსაფრთხოების საფრთხეები, რისკები და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ქალთა უფლებადამცველებისა და სამოქალაქო საზოგადოების მედეგობა“

- **ქ-ნი ალექსანდრა ჰოკანსონ შმიდტი -** მმართველობა, მშვიდობა და უსაფრთხოება, გაეროს ქალთა ორგანიზაციის აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონული ოფისი

პანელი II - სტუდენტების კვლევითი აბსტრაქტების პრეზენტაცია - ნაწილი I

მოდერატორი: პროფ. მანანა ხაჩიძე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

1. **ქეთევან ხუტურიძე,** კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტი, თსუ
   თემა: ქალებისთვის ციფრული სივრცის მოპარვის უხილავი საფრთხე
2. **სალომე სანადირაძე, ნინო ღონღაძე**, კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტი, თსუ
   თემა: კიბერუსაფრთხოებისა და შევიწროების გენდერული ასპექტები
3. **მათე გუმბარიძე, გიორგი მიქაძე,** კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტი, თსუ
   თემა: კიბერუსაფრთხოების და შევიწროების გენდერული ასპექტები
4. **დავით დევდარიანი**, კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტი, თსუ
   თემა: ინფორმაციასა და ციფრულ რესურსებზე წვდომის გენდერული ბარიერები
5. **მარიამ ხობელია, სალომე პეტრიაშვილი,** კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტი, თსუ
   თემა: კიბერუსაფრთხოების სფეროში საჭირო უნარების კუთხით არსებული გენდერული უთანასწორობა
6. **ირაკლი ხასაია, მარიამ ჩიბურდანიძე,** იურიდიული ფაკულტეტი, თსუ
   თემა: ინტერნეტის ხარვეზიანი მიწოდების გენდერული ზეგავლენა - რატომ არის ეს ფაქტი მეტად რთული ქალებისთვის?
7. **თორნიკე თოდრია,** კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტი, თსუ
   თემა: გენდერული უთანასწორობა კიბერუსაფრთხოებაში, კრიტიკული ანალიზი
8. **ქნარიკ ნორდუკიან, ლილიტ ღეზარიან**, **არპინე ხანბეკიან**, კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტი, თსუ
   თემა: გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა კიბერუსაფრთხოების სფეროში

პანელი III - სტუდენტების კვლევითი აბსტრაქტების პრეზენტაცია - ნაწილი II

მოდერატორი: პროფ. მანანა ხაჩიძე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

9. **მარიამ ჯანჯღავა**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიოქიმიური ინჟინერიის ფაკულტეტი, (ონლაინ პრეზენტაცია)
   თემა: გენდერული უთანასწორობა კიბერუსაფრთხოებაში: ციფრული ჯანდაცვა საქართველოში
10. **ნაზიბროლა ნასყიდაშვილი,** კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტი, თსუ
11. **ლიზი თვალაბეიშვილი,** იურიდიული ფაკულტეტი, თსუ
    თემა: შეიარაღებული კონფლიქტების დროს კიბერშეტევების მავნე ზეგავლენა ქალთა უსაფრთხოებასა და განათლებაზე.
12. **ნინო გერგიძე,** კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტი, თსუ
    თემა: გენდერული კიბერ-ძალადობა და შევიწროება
13. **ზურაბ ლებანიძე, თეკლა ფარქოსაძე,** იურიდიული ფაკულტეტი, თსუ
    თემა: ქალების დაცვა კიბერუსაფრთხოების სფეროში

14. **ანი მოსიაშვილი,** კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტი, თსუ თემა: კიბერუსაფრთხოება გენდერულ ჭრილში: კიბერდანაშაულის დიფერენციული ზეგავლენის ანალიზი 15. **ლიზი ბარამიძე, თათა ტყეშელაშვილი** იურიდიული ფაკულტეტი, თსუ თემა: ეკრანს მიღმა: კიბერადევნების გენდერული პერსპექტივა
დახურვისა და სერტიფიკატების გადაცემის ცერემონია